

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად
მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს (ს/კ 402163733) (შემდგომში საზოგადოება/საწარმო) იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სანდრო ახმეტელის ქუჩა 10, ბინა 1. ფაქტიური მისამართია - ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა 67.

საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ყვავაძე, რომელიც ასევე არის დირექტორი.

საზოგადოება რეგისტრირებულია 2020 წლის 28 მაისს, დღგ-ს გადამხდელია 2020 წლის 10 აგვისტოდან.

საწარმოს გააჩნია ქუთაისში სხვადასხვა სახის ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, საოფისე ავეჯი, კომპიუტერები და სხვა.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სახმელეთო საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვის მომსახურება, ხოლო დამხმარე საქმიანობას სასტუმროს მომსახურება და საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება.

საწარმოს 2024 წელს ძირითადად დასაქმებული ყავდა 18 თანამშრომელი .

საწარმოს საკონსულტაციო მომსახურებას საბუღალტრო კუთხით უწევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო “ (206212212).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს) “ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. (მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის შეღავათების გათვალისწინებით).

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების კონვერტაცია.

კომპანიის სამუშაო ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშები ასევე არ ქონია ადგილი უცხოურ ვალუტაში ოპერაციებს.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასა და მის ექსპლუატაციამდე მიყვანასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად,

კომპანიის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცვლელი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექნომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწვა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი

შენობები

მანქანა-მოწყობილობები

ავეჯი და ინვენტარი

ოფისის აღჭურვილობა და სხვა

სასარგებლო მომსახურების ვადა

15-20 წელი

5-7 წელი

5-7 წელი

5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხდება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

მარაგები.

მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს,

რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებული ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვის მომსახურება, ხოლო დამხმარე საქმიანობაა სასტუმროს მომსახურება და ფართების გაქირავება. შესაბამისად შემოსავალი ჩაშლილია სახეების მიხედვით და აღირიცხება რეალიზაციის ქვეანგარიშებზე.

რეალიზაციის თანხების ასახვა წლის ბოლოს წარმოებს მოგება-ზარალის ანგარიშზე. მიეკუთვნება იმ პერიოდზე როდესაც მოხდა მისი გამომუშავება თანახმად რეალიზაციის პრინციპით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	18,000	16,245
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	60	-
სხვა პირებზე ავანსებად გაცემული სახსრები		132	-
მარაგები	3	7,414	7,401
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
		25,606	23,646
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,628,376	1,736,749
		1,628,376	1,736,749
მთლიანი აქტივები		1,653,982	1,760,395
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	6,403	4,720
საგადასახადო ვალდებულებები		3,928	3,749
		10,331	8,469
მთლიანი ვალდებულებები		10,331	8,469
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,480,883	1,645,973
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		162,768	105,953
		1,643,651	1,751,926
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,653,982	1,760,395

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს

ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	18,000	16,245
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	60	-
სხვა პირებზე ავსებად გაცემული სახსრები		132	-
მარაგები	3	7,414	7,401
სხვა მოკლევადიანი აქტივები			-
		25,606	23,646
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,628,376	1,736,749
		1,628,376	1,736,749
მთლიანი აქტივები		1,653,982	1,760,395
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	6,403	4,720
საგადასახადო ვალდებულებები		3,928	3,749
		10,331	8,469
მთლიანი ვალდებულებები		10,331	8,469
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,480,883	1,645,973
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		162,768	105,953
		1,643,651	1,751,926
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,653,982	1,760,395

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს

ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი



სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულა ლწმთ)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	7	372,602	408,937
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8	(11,126)	(10,190)
საერთო მოგება		361,476	398,747
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	(145,677)	(142,791)
ცვ ე თა /ა მ ო რ ტ ი ზ ა ც ი ი ს ხ ა რ ჯ ი		(108,372)	(109,729)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(50,612)	(58,023)
საოპერაციო მოგება		56,815	88,204
მოგება დაბეგვრამდე		56,815	88,204

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	7	372,602	408,937
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8	(11,126)	(10,190)
საერთო მოგება		361,476	398,747
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	(145,677)	(142,791)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(108,372)	(109,729)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(50,612)	(58,023)
საოპერაციო მოგება		56,815	88,204
მოგება დაბეგვრამდე		56,815	88,204

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი

ა. ელბაქიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლრში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	1,845,778	17,749	1,863,527
კაპიტალის შემცირება	(199,805)		(199,805)
პერიოდის მოგება		88,204	88,204
ნაშთი 31.12.2023	1,645,973	105,953	1,751,926
კაპიტალის შემცირება	(165,090)		(165,090)
პერიოდის მოგება		56,815	56,815
ნაშთი 31.12.2024	1,480,883	162,768	1,643,651

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“ ს/კ 402163733


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	1,845,778	17,749	1,863,527
კაპიტალის შემცირება	(199,805)		(199,805)
პერიოდის მოგება		88,204	88,204
ნაშთი 31.12.2023	1,645,973	105,953	1,751,926
კაპიტალის შემცირება	(165,090)		(165,090)
პერიოდის მოგება		56,815	56,815
ნაშთი 31.12.2024	1,480,883	162,768	1,643,651

შპს „ზურაბ ყვავაძე ოკრიბა“-ს ბუღალტერი

მარიამ ელბაქიძე

25 სექტემბერი 2025წელი



შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	9,239	5,673
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8,761	10,572
სულ	18,000	16,245

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	192	-
სულ	192	-

შენიშვნა 3

მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
სხვა მარაგები	7,414	7,401
სულ	7,414	7,401

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	6,004	4,359
სხვა ვალდებულებები	399	361
სულ	6,403	4,720

შენიშვნა: 4**ძირითადი
საშუალებები**

	მიწა	შენობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილო ბა და სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	358,200	1620676	139,957	1,560	10,096	2,130,489
გასვლა	-	-	(15,000)	-	-	(15,000)
2023 წლის 31 დეკემბერი	358,200	1,620,676	124,957	1,560	10,096	2,115,489
2024 წლის 31 დეკემბერი	358,200	1,620,676	124,957	1,560	10,096	2,115,489

დაგროვილი ცვეთა

2022 წლის 31 დეკემბერი	-	(202,585)	(70,011)	(780)	(4,492)	(277,868)
წლის ცვეთა	-	(81,034)	(26,364)	(312)	(2,019)	(109,729)
გასვლა	-	-	8,857	-	-	8,857
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(283,619)	(87,518)	(1,092)	(6,511)	(378,740)
წლის ცვეთა	-	(81,034)	(25,008)	(312)	(2,019)	(108,373)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(364,653)	(112,526)	(1,404)	(8,530)	(487,113)

საბალანსო ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბერი	358,200	1,823,261	209,968	2,340	14,588	1,852,621
2023 წლის 31 დეკემბერი	358,200	1,904,295	212,475	2,652	16,607	1,736,749
2024 წლის 31 დეკემბერი	358,200	1,985,329	237,483	2,964	18,626	1,628,376

შენიშვნა 6**ამონაგები**

	31.12.2024	31.12.2023
მგზავრთა გადაყვანის მომსახურებიდან	267,654	273,459
საიჯარო მომსახურება	20,396	20,905
სასტუმრო მომსახურება	74,924	96,556
სველი წერტილი	9,628	9,542
სხვა	-	8,475
სულ	372,602	408,937

შენიშვნა 7

გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31.12.2024	31.12.2023
გადაზიდვის მომსახურების თვითღირებულება	422	438
სატუმროს მომსახურების თვითღირებულება	10,704	9,752
სულ	11,126	10,190

შენიშვნა 8

დასაქმებულთა ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	145,677	142,791
სულ	145,677	142,791

შენიშვნა 9

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
კომუნალური ხარჯი	24,628	25,098
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	552	470
სხვა საგადასახადო ხარჯი	13,436	14,558
საპენსიო სოციალური ხარჯი	2,374	2,316
დაზღვევა	1,530	1,530
დაცვის ხარჯი	1,373	1,112
კომუნიკაციის ხარჯი	834	822
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	5,016	5,114
მიმდინარე რემონტის ხარჯები	490	220
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	379	6,783
სულ	50,612	58,023

შენიშვნა 10

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელი არის ზურაბ ყვავაძე-100%. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე და დირექტორია ზურაბ ყვავაძე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა გარდა შრომის ანაზღაურებისა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	30,612	30,612
სულ	30,612	30,612

შენიშვნა 11

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა, რასაც შეიძლება გადავხედოთ მოხდინა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.